
ბუხაიძის ქ. №48

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)


საპროექტო ტერიტორია ისტორიული ჩუღურეთის ზედა ნაწილში – ბუხაიძის ქუჩაზე მდებარეობს, კუმისის ვიწრო გასასვლელებით მოსაზღვრულ განაშენიანებაში. აქ პირველი დასახლება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება, თუმცა ქუჩის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ურბანულად დღემდე ჩამოუყალიბებელია.



თბილისის პანორამის ფრაგმენტი. XIX საუკუნის ბოლო.

ჩუღურეთი პირველად გახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის თბილისის გეგმაზეა გამოსახული და ექსპლიკაციაში №62-ით არის აღნიშნული. ის ავჭალის გზასთან მდებარეობდა და მჭიდროდ დასახლებული სოფელი იყო. „ავჭალის გზა“ ისნის, რომელიც კართან იწყებოდა და მიემართებოდა

ჩრდილოეთისაკენ – მცხეთის მიმართულებით, მნიშვნელოვან სატრანზიტო არტერიას წარმოადგენდა, რომელიც ქალაქს პერიფერიებთან აკავშირებდა.



ვახუშტის 1735 წლის გეგმა.

ქალაქისპირა სოფლების - ჩუღურეთის და კუკიის ქალაქთან მიერთების საკითხი საქართველოში რუსეთის ხელისუფლების შემოსვლის შემდეგ გადაწყდა. 1823 წლის აღწერით ჩუღურეთში სახლობდნენ, როგორც ხელოსნები, ისე მიწათმომქმედი გლეხები. აქ მდებარეობდა გაჯის, აგურის და სამეთუნეო ქარხანები, სამღებროები, სამჭედლოები და სხვა. ასე, რომ ჩუღურეთი იყო, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე ხელოსნური მეწარმეობის უბანი. 1824 წელს გენერალ ერმოლოვის განკარგულებით ჩუღურეთი ოფიციალურად შემოუერთდა თბილისს, თუმცა მისი კეთილმოწყობა და დაგეგმარება კიდევ კარგა ხანს ვერ მოხერხდა - ის კვლავაც რჩებოდა სოფლური ტიპის დასახლებად. 1827 წელს თბილისის მომწყობ კომიტეტს დაევალა ქალაქის დაგეგმარება და ახლად შემოერთებული უბნების კეთილმოწყობა, თუმცა კომიტეტმაც ბევრი ვერაფერი გააკეთა. ამ დროს ჩუღურეთში ძირითადად მიწური სადგომები და ერთ-

ორსართულიანი ბანიანი სახლები იყო, რომლებიც ყოველგვარი გეგმისა და პროექტის გარეშე შენდებოდა. ქუჩის სახე მხოლოდ ძველი ავჭალის გზას ჰქონდა. 1840-50-იან წლებშიც მშენებლობა ნელა მიიწევდა წინ და ჩუღურეთი კვლავ ქაოტური ტიპის დასახლებად რჩებოდა.



1902 წლის თბილისის რუკა.

თბილისის 1867 წლის რუკაზე ჩუღურეთის არსენალსა და ხოჯავანქის სასაფლაოს შორის ხევისპირა ტერიტორია გაუნაშენიანებელია. გაკვალულია უბნის მხოლოდ ქვედა ნაწილი. ზემოთ მხოლოდ აქა-იქ ჩნდება მცირე ქაოტური დასახლებები.

1900-იან წლებში ისახება ქუჩების ქსელი, თუმცა განაშენიანება ჯერ კიდევ კანტი-კუნტად ჩანს. ჩუღურეთის ტერიტორიაზე, რკინიგზის ხაზის გასწვრივ, არსენალის (დღევანდელი ბუხაიძის) და მისი მიმდებარე ქუჩები უკვე გამოკვეთილია. უფრო ზევით კი რკინიგზის ხაზი გადის, რომელიც 1871 წელს გაიყვანეს. მის გადაღმა კავკასიის მსროლელთა ბატალიონის ყაზარმები და საარტილერიოსაწყობების შენობებია.



1902 წლის თბილისის რუკა.

1902 წლის რუკაზე არსენალის გზა თითქმის შეესაბამება დღევანდელს. საპროექტო ტერიტორია ემთხვევა ამატუნის (დღევანდელი კუმისის) ქუჩის და კუმისის გასასვლელის თავშეყრით მოსაზღვრულ კვარტალს. აქ განაშენიანება სტიქიურად – დაუგეგმავად ვითარდებოდა, რასაც, პირველ რიგში, ხელს ყწყობდა ბუნებრივი უსწორმასწორო რელიეფი. ქუჩების ქსელიც არარეგულარულია. თბილისის დაუსახლებელი ტერიტორიების სწრაფი ათვისება

1905 წლის მოვლენების შემდეგ უფრო აქტიური ხდება. ახალმოსახლეები თვითნებურად, მიწის მფლობელებთან შეთანხმების გარეშე სახლდებიან. მთის კალთებზე შენდება მომცრო – ერთ და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები.



ჩუღურეთი, 1860-იანი და 1910-იანი წლების ფოტოსურათები.



თბილისის გეგმებზე და საარქივო ფოტოებზე კარგად ჩანს სოფ. ჩუღურეთის სტრუქტურაზე და მის მიმდებარე ფერდობებზე შეფენილი უბნის განვითარება და ქუჩების ჩამოყალიბება. ზედა ნაწილში რთულ რელიეფს მორგებული ვიწრო გასასვლელები წარმოიქმნა. ეს სურათი ასახულია XIX საუკუნის 60-იანი და XX საუკუნის პირველი ათწლეულის ფოტოსურათებზე. ვხედავთ, რომ საპროექტო ტერიტორია ჯერ გაუნაშენიანებელია, თუმცა, 1910

წელს, მის ქვემოთ კუმისის შესახვევითა და კუმისის გასასვლელით მოსაზღვრული ადგილი უკვე შევსებულია სახლებით, გზის პირი კი ცარიელია. მოზრდილ შენობებს ვხედავთ ბუხაიძისა და კუმისის ქუჩების შესაყართან. უკვე მთლიანად მოშენებულია კუმისის ქუჩა.

საპროექტო ტერიტორია და მიმდებარე განაშენიანება

ბუხაიძის ქუჩას ჩუღურეთის ქუჩა ერქვა, 1934 წელს დაარქვეს არსენალის გზატკეცილი, ხოლო 1965 წელს ბუხაიძის სახელი ეწოდა. ის გორკის ქუჩასთან იწყება და სამრეკლოს (ყოფილ ურიცკის) ქუჩამდე აღწევს. ქუჩა თბილისის განაშენიანების რეგულირების ზონის საზღვრს მიუყვება რთულ, ტალღოვან რელიეფზე და თავადაც მრუდის შესაბამისად არის განვითარებული. ქუჩის მარჯვენა მხარე უფრო დატვირთულია შენობებით, რადგან მარცხენა მხარეს რკინიგზის ლიანდაგია. ქუჩის ორივე მხარეს განაშენიანება მხოლოდ ქუჩის ქვედა მონაკვეთშია.



კუმისის ქუჩა – 2016 წლის აეროფოტო.

ქუჩის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში განაშენიანება მოკლებულია არქიტექტურულ ორგანიზებებულობას. შენობებიც უსახურია. აქ თავიდანვე ხელმოკლე მოსახლეობა იშენებდა სახლებს, რაც მათ გარეგნულ სახზეც აისახებოდა.



ჩუღურეთი, 2019 წლის გ. ჭანიშვილის ფოტოტოსურათი.

საკვლევი არეალის განაშენიანების ხასიათს შედარებით ძველი და ახალი, არქიტექტურულად არაღირებული შენობების მონაცვლეობა ქმნის. არც ერთ მათგანს არა აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. სიძველით ერთად-ერთი შენობა იქცევს ყურადღებას, რომელიც საპროექტო რეტიტორიისგან საკმაოდ მოშორებით დგას - ბუხაიძის ქ. №44 ორსართულიან საცხოვრებელ სახლს რელიეფზე მორგებული გეგმარება აქვს; მთავარი ფასადებით ბუხაიძის ქუჩისკენ გადის და ქუჩისკენ გახსნილი ეზოს გარშემო ერთიანდება. არქიტექტურულად გაფორმებულია მხოლოდ უკიდურესად სადა მთავარი ფასადები.

ბუხაიძის ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებული ეზოები და შენობები მეტ-ნაკლები რეგულარულობით მიუყვება ქუჩის წითელ ხაზს. საპროექტო

ტერიტორიის მიმდებარედ სამშენებლო პროცესები მხოლოდ ბოლო წლებში გააქტიურდა – აშენდა რამდენიმე ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ამჟამად ოთხსართულიანი მრავალბინიანი სახლი შენდება – ქუჩის წითელ ხაზზე დგას ერთსართულიანი ბელეტაჟის ტიპის მოცულობა, შენობის ძირითადი მასა კი სიღრმეში ვითარდება, რის გამოც ის აქტიურად არ აისახა განაშენიანების მასშტაბზე. საპროექტო ტერიტორიის გვერდით ეზოში – ბუხაიძის და კუმისის ქუჩების შესაყართან მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის ჯერ მხოლოდ ერთი სართულია ამოყვენილი, თუმცა მოცულობა მოზრდილია. უბნის არქიტექტურული მასშტაბი სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობამ შეცვალა, როდესაც მცირემასშტაბიან ურბანულ გარემოში გაჩნდა მსხვილი დომინანტი.



ბუხაიძის ქუჩა – საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე გარემო



საპროექტო ტერიტორიის ეზოში დგას რამდენიმე ერთ-ორსართულიანი შენობა, რომლებიც ეზოს განსხვავებული ნიშნულის გამო ზურგის მხარეს თითო სართულით მაღალია. ეს შენობები არაღირებულია. ისინი 1940-50-იან წლებში უნდა იყოს აშენებული და შემდეგ გადაკეთებული. ეზო ქუჩისკენ

იხსნება რკინის მარტივი ჭიშკრით. ეზო გარემოცულია მეზობელი ნაგებობებით. ზურგიდან ესაზღვრება კუმისის შესახვევისკენ გამავალი ერთ-ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები. გვხვდება მხოლოდ დაბალი არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობები. ღირებულია სახლების ირგვლივ არსებული პატარა საკარმიდამო ბაღები და მომავალშიც სასურველია მათი შესანარჩუნება.



ბუხაიძის ქ. №48 და მიმდებარე გარემო



ისტორიულად ღირებული შენობები, როგორც ითქვა, ამ არეალში არ არის. აქ განაშენიანება მეჩხერია. საყურადღებო სახლები ქუჩის დასაწყისში გვხვდება.

დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო შენობის მიმდებარე განაშენიანება ერთგვარი ფრაგმენტულობით ხასიათდება. მას ჩამოყალიბებული არქიტექტურული კონტექსტი არ გააჩნია. გარემოს ერთიანი მასშტაბიც ჩამოუყალიბებელია. სახლები დგას ეზოების სიღრმეში, ხოლო ეზოები მოქცეულია მათ გვერდით ან წინ. მშენებლობა ამ უბანში ბოლო წლებში გააქტიურდა. შენობები, რომლებიც შენდება ზომიერი მასშტაბისაა - ეს ტენდენცია მომავალშიც უნდა შენარჩუნდეს.

თავად საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობები არაღირებულია. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით განზრახულია მათი დემონტაჟი და ახალი რამდენიმე სართულიანი შენობის აგება. ამგვარი ჩარევა აქ დასაშვებია, თუმცა პროექტებისას გასათვალისწინებელა ქუჩის და მიმდებარე ნაკვეთების პერსპექტიული განვითარება. ქუჩაზე უკვე აიგო 4 სართულიანი შენობა, რასაც გავლენა არ მოუხდენია საერთო მასშტაბის ზრდაზე, რადგან შენობებს შორის დაცულია დიდი ინტერვალები და ახალი შენობის გარშემო თავისუფალი, ხალვათი სივრცეა. მოცემულ ნაკვეთზე კორექტული მასშტაბის მქონე შენობის აგება ხელს არ შეუშლის მიმდებარე ტერიტორიების შემდგომ სისტემურ განვითარებას.

მხედველობშია მისაღები აღქმის წერტილები ბუხაიძის ქუჩის სხვადასხვა რაკურსიდან და დაშორებული ხედებიდან. წარმოდგენილი უნდა იყოს ახალი მოცულობის ფოტომონტაჟები არსებულ გარემოში, როგორც ქუჩის სხვადასხვა რაკურსიდან, ისე ხედები, რომელიც ასახავს სამომავლო ცვლილებას.

მისაღებია თანამედროვე არქიტექტურული ფორმებისა და სტრუქტურის შერწყმა არსებულ გარემოსთან; სამშენებლო მასალად აგურის გამოყენება, რომელსაც მრავლად ვხვდებით უბნის განაშენიანებაში, რაც გარემოსთან მისადაგების კარგ საშუალებად შეიძლება გამოდგეს.

არ არის სასურველი ისტორიული უბნისათვის შეუსაბამო საშენი მასალებისა და არქიტექტურული ელემენტების გამოყენება, დიდი შენიმული

სიბრტყეები, დასაფეხურებული ტერასები, კრონშტეინებზე შეკიდული მასები და სხვა.

მშენებლობისას გასათვალისწინებელია ინფრასტრუქტურის და შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. სასურველია შიდა ეზოს, როგორც უბნის განაშენიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლის შენარჩუნება.

საპროექტო ობიექტის კონფიგურაცია და პროპორციები უნდა შეესაბამებოდეს მის ირგვლივ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სამშენებლო ხარისხი.

ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი

03.03.2021